ოქმი N14

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2024 წლის 27 დეკემბერი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 22 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ, როგორც სამსახურეობრივ ასევე პირად საქმიანობაში.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების“ შესახებ, დადგენილების პროექტის განხილვა და „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 - 2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის“ მოწონების თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის,
საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

10. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

11. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

12. „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

13. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

14. „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 დეკემბრის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა, მ. ჩარტია)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების“ შესახებ, დადგენილების პროექტის განხილვა და „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 - 2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის“ მოწონების თაობაზე

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 - 2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომლის საფუძველზეც 2025 წლის პროგნოზით ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 23124,1 ათასი ლარით. 2024 წლის საწყის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ბიუჯეტი იზრდება 6750,3 ათასი ლარით (44,9 %-ით). 2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 14975,4 ათასი ლარით; 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 46,5 %-ით (4750,3 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით, ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6800,0 ათას ლარს; 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი გაზრდილია 41,7 %-ით (2000,0 ათასი ლარით). 2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 270,4 ათასი ლარამდე, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 277,9 ათასი ლარი; 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 7,9 ათასი ლარით. შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 605,2 ათასი ლარის ოდენობით. შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 300,0 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 23124,1 ათას ლარს. პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია: ინფრასტრუქტურის განვითარება - 7445,9 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1202,3 ათასი ლარი; განათლება - 3263,3 ათასი ლარი, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 3301,8 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1125,6 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N21 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარემ და საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ქარდავამ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და განაცხადეს, რომ მიესალმებიან ბიუჯეტის ზრდას და იმედი გამოთქვეს ყოველწლიურად მოხდებოდა მისი გაზრდა, რომელიც მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსებაში აისახებოდა.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელი დაინტერესდა, წარმოდგენილი პროგრამა შეეხებოდა თუ არა მარტოხელა და ხანდაზმულ მოსახლეობას.

შ. კანკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ პროგრამა უშუალოდ შეეხებოდა შშმ პირებს 18 წლის ზემოთ

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტი პერსონალური ასისტენტის პროგრამას ახორციელებს

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და დელეგირებისთვის განკუთვნილი მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობით. პროგრამა განსაზღვრავს პერსონალური ასისტენტის მომსახურების განხორციელების პირობებს, მოცულობას, მომსახურებაში ჩართვისა და მომსახურების მიწოდების წესებს და მისი მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა, მ. თათარიშვილი, ა. მალანია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N22 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც საკრებულოში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოები გათვლილია „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად, რაც შეადგენს 1,460-ს. დადგენილების პროექტი მომზადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N23 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი

სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობების/პოზიციების თანამდებობრივი სარგოები გამოითვლება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს საფუძველზე. „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით 2025 წლისათვის საბაზო თანამდებობრივი სარგო განსაზღვრულია 1,460 ერთეულით. ნორმატიული აქტის ბუნებიდან გამომდინარე კანონში ცვლილება, იწვევს კონკრეტულ სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის ცვლილებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებაში მომზადდა „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. წარმოდგენილი პროექტით მერიის საშტატო ნუსხა სტრუქტურულად და რაოდენობრივად უცვლელია. ცვლილება შეეხება მხოლოდ თანამდებობრივ სარგოებს. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N24 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ე. კვიკვინია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025

წლის მუნიციპალური პროგრამა, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე და განმახორციელებელი სუბიექტები. პროგრამით განისაზღვრა: მსოფლიო, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებში მიღებულ შედეგებზე სპორტსმენების ერთჯერადი ფულადი პრემიის ზღვრული ოდენობა ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში; საქართველოს პირველობაზე, ჩემპიონატებზე, ტურნირებზე, რეგიონალურ და ადგილობრივ ღონისძიებებზე მონაწილე სპორტსმენების კვების დღიური ხარჯის ნორმები; სპორტული სასწავლო ჯგუფების კვირეული დატვირთვის ნორმატივი აკადემიურ საათებში; სპორტულ სასწავლო ჯგუფებში სწავლების ეტაპების მიხედვით მეცადინეობათა ნორმატივები. სპორტული ღონისძიებების ხარჯები ადგილობრივი და გასვლითი ტურნირებით სპორტული ჯგუფებისა და ა(ა)იპ-ების მიხედვით. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა მოიცავს: ა) წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება - 55 000 ლარი; ბ) სპორტული ღონისძიებების ხარჯები - 170 832 ლარი; გ) ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები- 49 111 ლარი; დ) სპორტული ღონისძიებები-გასვლითი ტურნირები - 42 178 ლარი; ე) ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები-(ასაკობრივი ჯგუფი და ქალთა გუნდი)-21 703 ლარი. ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 338 824 ლარს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტი ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N27 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის,

განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ე. კვიკვინია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „ახალგაზრდობის განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 29 დეკემბრის საკრებულოს N38 განკარგულების საფუძველზე მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამა, რომლითაც განისაზღვრა ახალგაზრდული პროგრამის პრიორიტეტები, პრიორიტეტების მიზანი, ახალგაზრდული მიმართულების სამოქმედო გეგმა და ის ღონისძიებები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობასა და მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 107 185 ლარს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საქმიანობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N28 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ე. კვიკვინია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „ახალგაზრდობის განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის საკრებულოს N38 განკარგულების საფუძველზე, მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამა, რითაც განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებულ მოსწავლეებზე, წარმატებულ სტუდენტებზე და განათლების სფეროში მოღვაწე პირებზე გასაცემი ერთჯერადი ფულადი ჯილდო, ჯილდოს ოდენობა და გაცემის წესი. 1. პროგრამით ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებული მოსწავლეებზე ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებზე, განსაზღვრულია ერთჯერადი ფულადი ჯილდო: ა) ოქროს მედალოსანი - 500 ლარი; ბ) ვერცხლის მედალოსანი - 300 ლარი. ჯამში ღონისძიების „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (ჯილდო)“ ბიუჯეტი განისაზღვრა - 20 000 ლარით; 2. წარმატებული სტუდენტები, რომლებიც 2025 წელს საუკეთესო შედეგებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მოიპოვებენ 100%-იან სახელმწიფო გრანტსა და ჩაირიცხებიან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათზე პროგრამით განსაზღვრულია ერთჯერადი ფულადი ჯილდო 1000 ლარის ოდენობით.

ჯამში ღონისძიების „წარმატებულ სტუდენტთა წახალისება (ჯილდო)“ ბიუჯეტი შეადგენს - 5 000 ლარს; 3. პროგრამით განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილი განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისება. მასწავლებელთა ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, განათლების სფეროში მოღვაწე პირი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს წარმატებული, დამსახურებული ან/და ღვაწლმოსილი მუშაკი და საჯარო ან კერძო სკოლის წარმატებული, დამსახურებული ან/და ღვაწლმოსილი მასწავლებლები დაჯილდოვდებიან ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი - 1000 ლარის ოდენობით. ღონისძიების „განათლების სფეროში მოღვაწე პირის წახალისება (ჯილდო)“ ბიუჯეტი შეადგენს - 3 000 ლარს. საერთო ჯამში ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 28 000 ლარს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ”. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N29 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის" ღონისძიებებში წინა წელთან შედარებით განხორციელდა ცვლილებები პროგრამის გარკვეულ მუხლებში, კერძოდ: **მუხლი** - ჰემოდიალის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრირებულ ბენეფიციართა ყოველთვიური (ტრანსპორტირებისთვის) ფულადი დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 22-მდე და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 52500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 43200 ლარისა. **მუხლი** - 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო რეაბილიტაცია-აბილიტაციას, ერთჯერადი თანხით დაფინანსების მუხლი განისაზღვრა 30000 ლარით ნაცვლად 20000 ლარისა (მომართვიანობიდან გამომდინარე) და თანხა გაიცემა თანადაფინანსებით 50%-მდე, მაგრამ არა უმეტეს 800 ლარისა (წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე ლიცენზირებული დაწესებულებიდან). **მუხლი** - აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე წელიწადში ორჯერ ერთჯერადად 300-300 ლარის ოდენობით დახმარების (წლის პირველი ნახევარი და წლის მეორე ნახევარი) დაფინანსების მუხლი განისაზღვრა 7200 ლარით ნაცვლად 4200 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდამ). **მუხლი** - აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 2250 ლარის ოდენობით ნაცვლად 2500 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ). **მუხლი** - უმწეო ბენეფიციართა კვებითი მომსახურების მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 140000 ლარის ოდენობით ნაცვლად 130 000 ლარისა, (ფასთა კვლევის საფუძველზე). **მუხლი** - სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურება ყოველთვიურად (65000 და ნაკლები ქულა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარის ოჯახი) დახმარების მუხლი განისაზღვრა 23300 ლარის ოდენობით ნაცვლად 17000 ლარისა (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდამ). **მუხლი** - უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში თავშესაფარში მოთავსებამდე, ბინის ქირის გადასახადის მუხლი განისაზღვრა 2500 ლარის ოდენობით ნაცვლად 3800 ლარისა (ცვლილება გამოიწვია წლის

განმავლობაში აღნიშნული მუხლით სარგებლობიდან გამომდინარე). **მუხლი** - სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარების მუხლი, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, ექსპერტიზის დასკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) ბიუჯეტი განისაზღვრა 10800 ლარის ოდენობით ნაცვლად 5000 ლარისა (ცვლილება გამოიწვია დაფინანსების თვეთა რაოდენობის გაზრდამ). **პროგრამას დაემატა ახალი მუხლები**: **მუხლი** - სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 ქულას და რომელთაც ჰყავთ 1-დან 3 წლის ჩათვლით ბავშვები, ყოველკვარტალური ერთჯერადი დახმარება კვების უზრუნველსაყოფად, თანხა 36000 ლარი, 90 ბავშვი, თითოეულ ბავშვზე 100 ლარი კვარტალურად. **მუხლი** - სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000 და რომელთაც ჰყავთ პირველ კლასში შემსვლელი ბავშვები, სასკოლო ნივთების შესაძენად, 15000 ლარი - 150 ბავშვი, ერთ ბავშვზე 100 ლარის ფარგლებში. **მუხლი** 0-18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ ყოველდღიური ჰიგიენური საშუალებების საჭიროება (პამპერსი, ერთჯერადი ჰიგიენური სალფეთქი) 8000 ლარი, 10 შშმ ბავშვზე, კვარტალურად თითოეულზე 200 ლარის ფარგლებში. **მუხლი** - განსაკუთრებული საჭიროების მქონე 0-18 წლამდე ბავშვებისთვის, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამით შეძენილი სმენის აპარატით, აპარატისთვის დროთა განმავლობაში საჭირო აქსესუარების (ყურის სასმენი აპარატის ელემენტი) მოვლა პატრონობისთვის ერთჯერადად - 4000 ლარი, 4 - ბენეფიციარი, თითოეულზე 1000 ლარამდე. **მუხლი** - 18 წელი და ზემოთ ასაკის ბენეფიციართა პერსონალური ასისტენტის მომსახურება (3+1 ბენეფიციარი) დელეგირებული 44640 ლარი, 4 - ბენეფიციარი, თვეში 3720 ლარი. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ბიუჯეტი განისაზღვრა 813240 ლარით, რაც საანგარიშო წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 150 790 ლარით (2023 წ ბიუჯეტი 662450 ლარი). ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ

კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N30 ოქმს თან ერთვის)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 53640 ლარის ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, ხობის

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N31 ოქმს თან ერთვის)

10. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ა. მალანიას მხრიდან დაისვა საკითხი, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებზე საწვავის ლიმიტის 50 ლიტრის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, რაც მხარდაჭერილ იქნა კომისიის მხრიდან, აღნიშნულზე წერილობით ეცნობა მუნიციპალიტეტის მერიას, რაზეც დადებითი პასუხი იქნა მიღებული მერიის მხრიდანაც. ზემო აღნიშნულის

გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N32 ოქმს თან ერთვის)

11. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის

მუნიციპალური პროგრამის ქვემუხლებში, კერძოდ: შშმ პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების, 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე და სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, საექსპერტო დასკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) მუხლებში გამოყოფილი თანხები მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ამ მუხლების გაზრდა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ამავე პროგრამის ქვეპროგრამის მუხლების ეკონომიებიდან (26700 ლარი) შემდეგ მუხლებში თანხის შემცირებით: 6-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (ბინის ქირის, კომუნალური ან სატრანსპორტო ხარჯების, საჭიროების განსაზღვრით) თანადაფინანსების მუხლი 4 000 ლარით; 100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარების მუხლი 500 ლარით; ახალშობილთა ოჯახებისთვის დახმარების მუხლი 7000 ლარით; სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურება ყოველთვიურად (65000 და ნაკლები ქულა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარის ოჯახი) დახმარების მუხლი 8000 ლარით; ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლი 5000 ლარით; ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების მუხლი 1700 ლარით; არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამის, კერძოდ: ძალადობის მსხვერპლი ოჯახებისთვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსების მუხლი 500 ლარით. შესაბამისად გაიზრდება შემდეგი მუხლები: შშმ პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია, ჰისტოქიმიური კვლევა) დაფინანსების მუხლი 4000 ლარით; 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების მუხლი 18400 ლარით; დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური დახმარების მუხლი 1000 ლარით; აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე წელიწადში ორჯერ ერთჯერადად 300-300 ლარის ოდენობით დახმარების მუხლი 600 ლარით; სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის

გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, საექსპერტო დასაკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) დახმარების მუხლი 2700 ლარით. ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლი 7646 ლარით. (თანხა დამატებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან „სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯის" ასიგნებიდან, გამომდინარე აღნიშნულიდან ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 670 096 ლარის ოდენობით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20 , წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა, ბ. ხარბედია, გ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N33 ოქმს თან ერთვის)

12. „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალურ პროგრამაში, წარმატებული სპორტსმენებისა და წარმატებული მწვრთნელების მატერიალური წახალისების მიზნით, ღონისძიებაზე „ხობის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა (ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის, საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენების) და მწვრთნელთა დაჯილდოება“ გათვალისწინებული იყო და სრულად გაიხარჯა 50 000 ლარი. ხობელი სპორტსმენები წარმატებით ასპარეზობდნენ და მათი მიღწეული წარმატებული შედეგების გათვალისწინებით, დამატებით საჭირო გახდა 2875 ლარი, რამაც პროგრამის ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია და ჯამში შეადგინა 311 865 ლარი. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21 , წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა, გ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N34 ოქმს თან ერთვის)

13. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ე. კვიკვინია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამით დაგეგმილი ახალგაზრდული ღონისძიებების ჩასატარებლად, საბაზრო ღირებულებების გათვალიწინებით, საჭირო გახდა დამატებით თანხების გამოყოფა, რამაც პროგრამის ხარჯთაღრიცხის რაოდენობის ზრდა გამოიწვია 39020 ლარით და პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 101 770 ლარი. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N42

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა, გ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N35 ოქმს თან ერთვის)

14. „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 დეკემბრის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ე. კვიკვინია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 დეკემბრის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური

პროგრამის შესაბამისად, 2023-2024 წლის წარმატებული, ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების წარმატებული 47 მოსწავლე დაჯილდოვდა ფულადი ჯილდოთი. დაჯილდოვდა 31 ოქროს მედალოსანი (გოგო-16, ბიჭი-15) 300-300 ლარით (ჯამში - 9300 ლარი) და ვერცხლის მედალოსანი 16 მოსწავლე (გოგო-10, ბიჭი-6) 200-200 ლარით (ჯამში-3200 ლარი). მედალოსნების დაჯილდოებისთვის სამსახურის ბიუჯეტში გამოყოფილი 20 000 ლარიდან, გამოყენებულ იქნა მხოლოდ 12 500 ლარი. დარჩენილი თანხა (7500 ლარი) სუბსიდიის სახით გადაეცა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთს“, რამაც პროგრამის ხარჯთაღრიცხის რაოდენობის შემცირება გამოიწვია და შესაბამისად დამტკიცებული ბიუჯეტი ნაცვლად 28000 ლარისა განისაზღვრა 20500 ლარით. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21 , წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, მ. იოსავა, გ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N36 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარი შუშანია
4. გოჩა ქაჯაია
5. მედეა თათარიშვილი
6. დოდო გაბუნია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. ვლადიმერ ქანთარია
10. აკაკი მალანია
11. ქეთევან კვირიკაშვილი
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. ბექა ხარბედია
17. მაკა ჩარტია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონ კუკავა
20. დიტო ხასია
21. ფრიდონი შონია
22. სერგო ბერაია